მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №15

ქ. მარტვილი 5 ივლისი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, დათო ხელაია, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, მამუკა დანელია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია, მაგდა შირავა, სერგი ფაცაცია.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 32–მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ბონდო თოფურია–მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით..

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 32, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 ივლისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 ივლისის განკარგულება №54 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
   /მომხსენებელი-ბონდო თოფურია–მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ის ბონდო თოფურიას მოხსენება ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის 22 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანდა;

აბედათის ადმ. ერთეულში, ჯოლევის უბანში ხიდ–ბოგირი, რომლის სამუშაოს ღირებულება დღგ–ს ჩათვლით შეადგენს 17885 ლარს;

ინჩხურის ადმ. ერთეულში დაზიანდა ლითონის ხიდი რომლის სამუშაოს ღირებულება დღგ–ს ჩათვლით შეადგენს 3105 ლარს;

ქ. მარტვილის ადმ. ერთეულში მდ. ინჩხიას ხიდთან დაზიანდა ნაპირსამაგრი, რომლის სამუშაოს ღირებულება დღგ–ს ჩათვლით შეადგენს 11427 ლარს;

ქ. მარტვილის ადმ. ერთეულში საელიაოს უბანში დაზიანდა ხიდ-ბოგირი, რომლის სამუშაოს ღირებულება დღგ–ს ჩათვლით შეადგენს 22113 ლარს;

აქედან გამომდინარე შეტანილ იქნას ცვლილება 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში, კერძოდ; შემცირდეს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო ექსპერტიზის და ზედამხედველობის ხარჯები 9600 ლარით და რეგიონებში განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება 60000 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ელდარ თოდუამ დასვა კითხვა, რომ თუ რჩება საკმარისი თანხა საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო ექსპერტიზის და ზედამხედველობის ხარჯებში, რაზეც ბონდო თოფურიამ უპასუხა, რომ ამ კუთხით საკმარისად რჩება თანხები და ასევე დამატებით ველოდებით გამოსაცხადებელი ტენდერებიდან თანხებს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 32, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

/,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 ივლისის დადგენილება №19 სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა